# საზოგადოებრივი ადვოკატი

№ 8
30 სექტემბერი
2010

იურიდიული დახმარების სამსახური – მთელი საქართველოსთვის


## ახალგაზრდა ბიურო სამცხე-ჯავახეთში – ცნობადობასთან ერთად ნდობაც იზრდება



3-4 გვ.

## ყაჩაღობაში ბრალდებულის საქმე წინასწარ გამოძიებაშივე შეწყდა

2 გვ.

## თქვენი მეგზური

როგორ და სად მივმართოთ იურიდიული დახმარების სამსახურს

4 გვ.

## იურიდიული დახმარების სამსახური

- სისხლის სამართლის საქმეზე უფასო საადვოკატო მომსახურება გადახდის უუნარო მოსახლეობისათვის;
- უფასო იურიდიული კონსულტაციები სამართალწარმოების ნებისმიერ დარგზე - სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავები; საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში იურიდიული დოკუმენტების მომზადება;
- იურიდიული დახმარების ბიუროები მთელი საქართველოს მასშტაბით: თბილისში, თელავში, მცხეთაში, რუსთავში, გორში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ამბროლაურში, ოზურგეთში, ახალციხეში.

# საზოგადოებრივი ადვოკატების საქმეები, რომლებიც არასრულწლოვან დაცვის ქვეშ მყოფთა სასარგებლოდ დასრულდა

***ქართული კანონმდებლობით, სისხლის სამართლის დევნის დროს, არასრულწლოვანის დაცვა, ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაში, სავალდებულოა - სურს თავად დაკავებულს თუ არა. არასრულწლოვანი ექვმიტანილი იქნება, ბრალდებული თუ განსასჯელი საგამოძიებო ორგანოები ვალდებული არიან დაუნიშნონ მას ადვოკატი და ამის შემდეგ დაიწყოს საგამოძიებო მოქმედებები. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავად გახდება კანონის დამრღვევი. იმ შემთხვევაში თუ დაკავებული ან მისი ახლობლები ვერ ახერხებენ კერძო ადვოკატის დაქირავებას, მოზარდის დაცვას სახელმწიფო კისრულობს, სწორედ ამ დროს არასრულწლოვანის საქმეში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ერთვებიან.***



პირველი ოქტომბრიდან სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი ამოქმედდება, რომელიც უამრავ მნიშვნელოვან ნოვაციას ითვალისწინებს არასრულწლოვანი ბრალდებულების მიმართულებითაც. როგორც იურიდიული დახმარების სამსახურში აცხადებენ, ამ ცვლილებისთვის საზოგადოებრივი ადვოკატები დიდი ხანია სათანადოდ ემზადებიან.

ის, რომ საზოგადოებრივი ადვოკატების ჩართულობა არასრულწლოვანთა საქმეში აქტუალურია, აშკარად ჩანს სტატისტიკიდანაც. 2008 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებმა დახმარება გაუწიეს 486 არასრულწლოვანს. აქედან თბილისში 169-ს, მცხეთა-თიანეთში 16-ს, კახეთში 39-ს, ქვემო ქართლში 60-ს, შიდა ქართლში 34-ს, იმერეთი-ზესტაფონში 12-ს, იმერეთი-ქუთაისში 76-ს, სამეგრელო-ზუგდიდში 18-ს, სამეგრელო-ფოთში 18-ს, აჭარაში 44-ს.

2009 წელს ეს რიცხვი 604-მდე გაიზარდა. ამ პერიოდში თბილისში საზოგადოებრივმა ადვოკატებმა დაიცვეს 141 მოზარდის ინტერესი. მცხეთა-თიანეთში 30-ის, კახეთში 55, ქვემო ქართლში - 62, შიდა

***გაგრძელება მე-2 გვ.***

# იურიდიული დახმარების სამსახური კანონშემოქმედებით მუშაობაში აქტიურად არის ჩართული

***ბოლო პერიოდში საქართველოს კანონმდებლობაში რადიკალური ცვლილებები განხორციელდა. ეს ცვლილებები, თავისთავად ცხადია, შეეხო იურიდიული დახმარების სამსახურსაც. საკანონმდებლო მუშაობაში ჩართულობა ნებისმიერი სამსახურისთვის მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, ისეთი ახალი სტრუქტურისთვის, როგორის არის იურიდიული დახმარების სამსახური. ეს სამსახური, როგორც დამოუკიდებელი სისტემა, სულ რამდენიმე წელია არსებობს და უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.***



მონაწილეობს თუ არა იურიდიული დახმარების სამსახური კანონშემოქმედებით მუშაობაში? არის თუ არა კონკრეტულად ამ სტრუქტურაში სპეციალური სამსახური ან ჯგუფი, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს? მზად არის თუ არა სამსახური ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედებისთვის? - ამ საკითხებზე გვესაუბრება იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველოს იურისტი გიორგი ჭვინაშვილი.

მოგეხსენებათ, საქართველოში ბოლო პერიოდში სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი რადიკალური ცვლილებები განხორციელდა: - გვიხსნის გიორგი ჭვინაშვილი. მისი თქმით: სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური აქტიურად მონაწილეობს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებების სრულყოფილად შესწავლასა და გაანალიზებაში. იურიდიული დახმარების სამსახურში შექმნილია ტრენინგებისა და ხარისხის კონტროლის სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში აქტიურად ჩართული არიან სამსახურის მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველოს იურისტები და ასევე იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროების ადვოკატები. სწორედ ეს ჯგუფი ეწევა კანონშემოქმედებით საქმიანობასა და მონაწილეობას იღებს ახალი კანონმდებლობის დანერგვაში.

**- 1 ოქტომბრიდან ამოქმედდება ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. რამდენად არიან საზოგადოებრივი ადვოკატები ამ სიახლისთვის მზად?**

- მოგეხსენებათ, 1 ოქტომბრიდან ძალაში შედის ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც რადიკალურად განსხვავდება მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან, რის გამოც საჭირო გახდა მისი დეტალური შესწავლა და გაანალიზება. ამ მხრივ საზოგადოებრივ ად-

***გაგრძელება მე-3 გვ.***

## ახალი ამბები

### აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების შეხვედრა მონტენეგროში

ქ. პოდგორიცაში, მონტენეგრო, გაიმართა სამდღიანი სამუშაო შეხვედრა თემაზე - უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემები და დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარება. ღონისძიება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ბრატისლავას რეგიონალური ცენტრის ორგანიზებით გაიმართა მასში აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფო უწყებების, გაეროს განვითარების პროგრამის ადგილობრივი ოფისის, სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ღონისძიების ფარგლებში, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ შეხვედრის მონაწილეებს საქართველოში უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის თავისებურებები და სამომავლო განვითარების სტრატეგია გააცნო. მან ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების როლზე იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის განვითარებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ გაეროს განვითარების პროგრამა 2009 წლის მაისიდან იურიდიული დახმარების სამსახურის გაძლიერების პროექტს ახორციელებს. პროექტის პრიორიტეტებს უფასო სამართლებრივ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული განვითარება, უფასო იურიდიული დახმარების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადმინისტრაციულ საქმეებზე უფასო საადვოკატო მომსახურების დანერგვის ხელშეწყობა წარმოადგენს.

### იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელი — თბილისში

თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელის (Legal Aid Reformers' Network, LARN) ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის თემა გახლდათ - სისხლის სამართლის საქმეებზე დაცვის ხარისხის უზრუნველყოფა და კვლევების მნიშვნელობა იურიდიული დახმარების სფეროში პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ღონისძიება ღია საზოგადოების ინსტიტუტის „სამართლებრივი ინიციატივის“ (OSJI), ასევე მოლდოვისა (SFM) და საქართველოს (OSGF) ფონდების ორგანიზებით ტარდება. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს, ლიტვის, ბულგარეთის, მოლდოვას, უკრაინის, ყირგიზეთისა და მონღოლეთის უფასო იურიდიული დახმარების მიმწოდებელი ორგანიზების წარმომადგენლები.

### სემინარი არასრულწლოვანი პრობაციონერებისთვის

იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიურომ 14 სექტემბერს 15 არასრულწლოვან პრონაციონერს უმასპინძლა. იურიდიული დახმარების სამსახურისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებული ერთობლივი სემინარი პირობით მსჯავრდებულთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას და დანაშაულის პრევენციას ემსახურებოდა.

ურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებმა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს იურისტმა პრობაციონერებთან ისაუბრეს მათ უფლება-მოვალეობებზე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებზე და კანონით გათვალისწინებულ შეღავათებზე. გარდა ამისა, კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით მისცეს კვალიფიციურ რჩევები და, საჭიროების შემთხვევაში, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებაში დაეხმარებასაც დაჰპირდნენ.

### საზოგადოებრივი ადვოკატების საინფორმაციო შეხვედრები

იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს თანამშრომლები 15 სექტემბერს კასპის რაიონის სოფელ მეტეხის მოსახლეობას შეხვდნენ. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ივლისიდან, ადგილობრივი ხელისუფლებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ინიციატივით შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტი, კასპის გამგეობის შენობაში მისთვის საგანგებოდ გამოყოფილ ოთახში, ყოველკვირეულად მართავს კონსულტაციებს. გასვლითი კონსულტაციები კასპის რაიონის სხვადასხვა სოფელში წლის ბოლომდე რეგულარულად მოეწყობა.

ამავე ბიუროს თანამშრომლებს 20 სექტემბერს გასვლითი შეხვედრა ჰქონდათ სოფელ კავთისხევში.

შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო 2007 წლის ნოემბერში ამოქმედდა. მისი სამოქმედო ტერიტორია კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონებს მოიცავს.

გასვლითი შეხვედრები ჩაატარეს სექტემბერში იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის-ქუთაისის ბიუროს იურისტებმაც ქალაქ სამტრედიაში. საზოგადოებრივმა ადვოკატებმა ყურადღება გაამახვილეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სოციალურად დაუცველეთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის წესი, უძრავი ქონების რეგისტრაცია, მემკვიდრეობის მიღება და სამეზობლო დავები. გარდა ამისა, მოსახლეობა გაეცნო უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობებს.

მსგავსი შეხვედრები უკვე ჩატარდა სამტრედიის რაიონის სოფლებში - დიდი ჯიხაიში და

# საზოგადოებრივი ადვოკატების საქმეები, რომლებიც არასრულწლოვან დაცვის ქვეშ მყოფთა სასარგებლოდ დასრულდა

*პირველი გვერდიდან*

ქართლში - 47, იმერეთი-ზესტაფონში - 35, იმერეთი-ქუთაისში 98, სამეგრელო-ზუგდიდში 13, სამეგრელო-ფოთში 15, აჭარაში 108-ის. ხოლო 2010 წლის მაისამდე იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ჩარეთვნენ 311 მოზარდის საქმეში. აქედან თბილისში 60-ის. მცხეთა-თიანეთი - 3, კახეთი - 21. ქვემო ქართლი - 35, შიდა ქართლი - 16, სამცხე-ჯავახეთი - 40, იმერეთი-ზესტაფონი - 20, იმერეთი-ქუთაისი - 51, სამეგრელო-ზუგდიდი - 11, სამეგრელო-ფოთი - 8, აჭარა - 46.

სტატისტიკა ასევე აჩვენებს, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებს არასრულწლოვანთა არაერთი საქმე დაუსრულებიათ წარმატებით.

16 წლის თამაზ დ. მოქალაქის კუთვნილი ეზოდან ჯართის ქურდობის ბრალდებით დააკავეს. საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლების მიმართვის საფუძველზე ეჭვმიტანილის დამცველად საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატი თამაზ გურაშვილი ჩაერთო. ადვოკატმა თამაზ დ.-ს მიმართ სამართლებრივი დევნის შეწყვეტის მოთხოვნით გამოძიების წინაშე აღძრულ შუამდგომლობაში მიუთითა რამდენიმე შემამსუბუქებელი გარემოება, მათ შორის ის ფაქტი, რომ დაზარალებულ მხარეს ეჭვმიტანილთან პრეტენზიები აღარ გააჩნდა. პროკურატურამ გაიზიარა ადვოკატის არგუმენტაცია და არასრულწლოვანის წინაალმდეგ დევნა შეწყვიტა.

ქურდობის ბრალდებით დაკავებული ორი არასრულწლოვანი დიმიტრი თ. და მათე ბ. თავს დამნაშავედ არ ცნობდნენ. ერთ-ერთი დაკავებულის დის განცხადებისა და გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე, საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატი გიორგი მდინარაძე ჩაერთო. ეჭვმიტანილთა ჩვენებების მოსმენისა და საქმეში არსებული მასალების შესწავლის შემდეგ, ადვოკატმა გამოძიებასთან დაკავებულთა გათავისუფლებაზე იშუამდგომლა იმ მოტივით, რომ მათი დანაშაული არ დასტურდებოდა. დიმიტრი თ.-სა და მათე ბ.-ს მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა და ისინი პატიმრობიდან გათავისუფლდნენ.

იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს ადვოკატების გიორგი მდინარაძისა და მურმან ნიკოლეიშვილის ძალისხმევით, ქურდობაში ბრალდებულ განსასჯელებს ომარ ღ.-სა და ნუგზარ ჯ.-ს სასამართლომ პირობითი სასჯელი შეუფარდა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

ორი არასრულწლოვანი რატი დ.-სა და ვასილ ქ. ეჭვმიტანილები იყვნენ ნარკოტიკების უკანონოდ შეძენა - შენახვაში. საზოგადოებრივმა ადვოკატმა ლაშა კიტიამ, საქმეში უტყუარი მტკიცებულებების არარსებობის საფუძველზე, გამოძიების წინაშე არასრულწლოვანთა პატიმრობიდან გათავისუფლებისა და საქმის შეწყვეტის საკითხი დასვა. რატი დ. და ვასილ ქ. გათავისუფლდნენ დაკავებიდან და მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა.

ქურდობაში ეჭვმიტანილ არასრულწლოვნებს ბექა კ.-ს, ზურაბ ხ.-სა და გივი ჩ.-ს ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდათ. საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვის შემდეგ გაირკვა, რომ დაკავებულთათვის ბრალის წასაყენებლად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობდა. სწორედ ამის საფუძველზე ადვოკატმა ვალერი კვანტალიანმა არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე შუამდგომლობა დააყენა. გამოძიებამ ადვოკატის მოთხოვნა დააკმაყოფილა, სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა და ეჭვმიტანილები წინასწარი დაკავების იზოლატორიდან გათავისუფლდნენ.

საზოგადოებრივი ადვოკატის მურმან ნიკოლეიშვილის დაცვის ქვეშ მყოფ თეიმურაზ გ.-ს ბრალი ედებოდა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ორგანიზებულ ძარცვაში, რაც 5-დან 8 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს. მას აღმკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა გირაო (8000 ლარი), პატიმრობის უზურნველყოფით. თანხის გადაუხდელობის გამო ბრალდების მხარემ მოითხოვა განსასჯელის პატიმრობა 3 წლისა და 8 თვის ვადით. დაცვის მხარემ სასამართლო პროცესზე წარადგინა ცნობა იმის თაობაზე, რომ თეიმურაზ გ.-ს ოჯახი დარეგისტრირებულია იძულებით გადაადგილებულ ოჯახთა სიაში. გარდა ამისა, ადვოკატმა მოითხოვა თეიმურაზ გ.-სთვის დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლა და, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, ჯარიმისგან გათავისუფლება. სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა და არასრულწლოვანი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

15 წლის ვახტანგ ბ.-ის, რომლის ინტერესებს კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი გია ფარადაშვილი იცავდა, ბრალად ედებოდა ცივი იარაღის ტარება. ამისთვის არასრულწლოვანს სასჯელის სახით 500 ლარის ოდენობის ჯარიმა ემუქრებოდა. ადვოკატი გია ფარადაშვილი სასამართლოს წინაშე ვახტანგ ბ.-ისათვის აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებას და განსასჯელის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ითხოვდა, რაც სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა.

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის ზაქრო გვიშიანის დაცვის ქვეშ მყოფ ორ არასრულწლოვან ბრალდებულს სასჯელი შეუმსუბუქდა.

ადვოკატის მიერ ჩატრებული მუშაობის შემდეგ პროკურატურასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ბრალდებულებს სასჯელის სახედ ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ, თუმცა დანიშნული სასჯელი იმავე ვადით პირობითად ჩაეთვალათ.

რამინ ყ.-სა და ლევან ზ.-ს ბრალად ედებოდათ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რაც ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატების ძალისხმევით კი, სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა სამი არასრულწლოვანის მიმართ.

ადვოკატების მურმან ნიკოლეიშვილისა და გიორგი მდინარაძის შუამდგომლობის საფუძველზე, ყაჩაღობის ბრალდებით დაკავებული სამი არასრულწლოვანი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

ხოლო, ადვოკატ პაატა ფხალაძის შუამდგომლობით, მსჯავრდებულს, რომელმაც პრობაციაში გამოცხადების წესი დაარღვია, გამოუცხადებლობა საპატიოდ ჩაეთვალა.

# დახმარება დაბადების მოწმობის არმქონე მოქალაქეებისთვის

***XXI საუკუნის საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს სოფლები, რომელში მაცხოვრებლებსაც დაბადების მოწმობები არ გააჩნიათ. დაბადების მოწმობის არქონა კი, თავისთავად იწვევს პირადობის მოწმობის არქონას, მოქალაქის სამოქალაქო ვალისა და სამოქალაქო უფლებების რეალიზების შეზღუდვას. ასეთი პრობლემები განსაკუთრებით ხშირია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, რასაც სახლში მშობიარობის კულტურა და ენობრივი ბარიერიც უწყობს ხელს. მაგალითისთვის — ბოლნისის რაიონის მხოლოდ ორ სოფელში — ტალავერსა და სავანეთში დაბადების მოწმობები აზერბაიჯანული წარმოშობის 500-მდე მოსახლეს არ გააჩნია.***

ამ პრობლემის აღმოფხვრაში მონაწილეობის მიღება და საბუთების არმქონე მოქალაქეებისთვის დახმარების აღმოჩენა გახლავთ იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთი აქტიური მიმართულება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ამ მხრივ, საჭიროებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული აქტივობით იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიურო გამოირჩევა.

სექტემბერში ბიუროს იურისტები ბოლნისის რაიონის სწორედ ზემოთ აღნიშნული სოფლების - ტალავერისა და სავანეთის რწმუნებულებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ. საზოგადოებრივმა ადვოკატებმა დაბადების მოწმობის არმქონე მოქალაქეებს შესაბამისი დოკუმენტების მოპოვების საკითხზე იურიდიული კონსულტაცია გაუწიეს.

ცხადია, დაბადების მოწმობების არქონა იმასნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოები ამ ადამიანების დაბადების დაბადების ფაქტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ.

ვითარების გამოსასწორებლად აუცილებელია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბოლნისის ადგილობრივი სამსახურის მეშვეობით დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა.



შეხვედრაზე საზოგადოებრივმა ადვოკატებმა სოფლების რწმუნებულებს გადასცეს იმ დოკუმენტების სიაც, რომლებიც მტკიცებულებების სახით აუცილებელია დაბადების იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დასადგენად. დაიგეგმა მომდევნო გასვლითი კონსულტაციაც, რომლის ფარგლებშიც იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის იურისტები სამოქალაქო რეესტრის სახელზე მოქალაქეებს შესაბამის განცხადებებს შეუდგენენ.

სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება უფასო იურიდიული დახმარების ერთ-ერთი სახეა. მიმდინარე წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა უფასო იურიდიული კონსულტაცია 7200-ზე მეტ მოქალაქეს გაუწია. კონსულტაციების ფარგლებში 1700-ზე მეტი სამართლებრივი დოკუმენტი მომზადდა.

# იურიდიული დახმარების სამსახური კანონშემოქმედებით მუშაობაში აქტიურად არის ჩართული

***პირველი გვერდიდან***

ვოკატებს არაერთხელ ჩაუტარდათ ტრენინგი ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ.

იურიდიული დახმარების სამსახურის სამუშაო ჯგუფმა, ახალი სისხლის სამართლის პროცესის საბოლოო რედაქციით მიღების შემდეგ კოდექსი დეტალურად, მუხლობრივად შეისწავლა. სამუშაო შეხვედრამდე სამუშაო ჯგუფში მონაწილე ადვოკატები როგორც საშტატო ისე რეგიონალურ რეესტრის ადვოკატებთან ერთად ბიუროებში მუხლობრივად დეტალურად იხილავდნენ ახალი სისხლის სამართლის პროცესის სიახლეებს და აკეთებდნენ შესაბამის ანალიზსა და დასკვნებს. იურიდიული დახმარების სამსახურის სამუშაო ჯგუფის ამგვარმა ნაყოფიერმა მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო და დღეის მდგომარეობით სამსახურის ყველა ადვოკატი როგორც თეორიული მომზადების კუთხით, ასევე პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისითაც, სრულიად მზად არის ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა ჯეროვანი გამოყენებით განახორციელოს მოქალაქეთა ულებების დაცვა.

იურიდიული დახმარების სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს პრეზენტაციაში, სადაც განხილულ იქნა ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

მოგეხსენებათ 1 ოქტომბრიდან ასევე ძალაში შედის პატიმრობის კოდექსი, რაც ასევე სიახლეა ჩვენი საზოგადოებისათვის. საზოგადოებრივი ადვოკატი პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, როგორც სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, ასევე სასამართლოში დაიცავს ბრალდებული და მსჯავრდებული პატიმრების ინტერესებს.

გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახურის დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების: „გაეროს განვითარების პროგრამის“, ევროკავშირის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“, „ღია საზოგადოება-სამართლებრივი ინიციატივა-ს“, „ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში“, „ამერიკის იურისტთა ასოციაცია“, „ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს“ უშუალო ინიციატივითა და მხარდაჭერით სისტემატიურად მიმდინარეობს იურიდიული დახმარების ადვოკატების თეორიული მომზადება როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ასევე სხვა სამართლებრივ თემებზე, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ადვოკატების თეორიული ცოდნის გაღრმავებასა და ადვოკატის პრაქტიკული უნარ ჩვევების ჩამოყალიბებას.

**- რას იტყვით არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე - არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია?**

- ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბევრ სიახლეს გვთავაზობს მათ შორის არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. კერძოდ: ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ პროექტის მიხედვით:

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან, უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ - დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან მედიაციის შესახებ, რომლის პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

თუ არასრულწლოვანი არაჯეროვნად ასრულებს მასთან გაფორმებული განრიდების ან მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებას, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

**- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იურიდიული დახმარების სამსახური მუშაობს თანამშრომელთა ქცევის შიდა წესებზე. კონკრეტულად რა პროექტებზეა საუბარი? როგორ ხდება სიახლეების სამსახურში დანერგვა?**

- იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებრივმა ადვოკატებმა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და მიღებული გამოცდილების საფუძველზე, შეიმუშავეს პროფესიული საქმიანობის სტანდარტები. სტანდარტები ადგენს ისეთი ქცევის წესებს, რაც უზრუნველყოფს დროული და კვალიფიციური უფასო იურიდიული დახმარების გაწევას.

საზოგადოებრივ ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის სტანდარტები აწესრიგებს იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებრივი ადვოკატების, იურიდიული დახმარების სამსახურის სტაჟიორებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ბაზაზე მოქმედი იურიდიული კლინიკის პრაქტიკანტების მიერ უფასო იურიდიული დახმარების ფარგლებში განხორციელებულ საადვოკატო საქმიანობას, კონსულტაციების გაწევასა და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას.

საზოგადოებრივ ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის სტანდარტების მიზანია იურიდიული დახმარების სამსახურისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლება და განმტკიცება. საზოგადოებრივ ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის სტანდარტების პრინციპებია: დამოუკიდებლობა; ნდობა; კონფიდენციალობა; დასაცავი ინტერესების პრიორიტეტულობა; ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა; კოლეგიალობა.

საზოგადოებრივ ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის სტანდარტები 5 თავისგან შედგება: მასში მოცემულია პრეამბულა, ზოგადი დებულებები, ძირითადი პრინციპები, საერთო მოთხოვნები დაცვის განხორციელებისას, ინფორმაციას სისხლის სამართლის შესახებ, საქმიანობის სტანდარტებს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს და დასკვნითი დებულებები.

საზოგადოებრივი ადვოკატის პროფესიული საქმიანობის სტანდარტების შემუშავებაში თვითოეული საზოგადოებრივი ადვოკატის მოსაზრება და შენიშვნაა გათვალისწინებული. პროფესიული საქმიანობის სტანდარტები საბოლოო სახის ჩამოყალიბებამდე არაერთხელ გადაეცა საზოგადოებრივ ადვოკატებს შენიშვნებისთვის, რამაც ამ დოკუმენტს საბოლოო სახე მისცა. სულ მალე პროფესიული საქმიანობის სტანდარტები ძირეულ პრაქტიკულ განხორციელებას ჰპოვებს საზოგადოებრივ ადვოკატთა პროფესიულ საქმიანობაში.

**რეგიონი**

# იურიდიული დახმარების სამსახური აჭარაში



იურიდიული დახმარების სამსახური ბათუმში, აჭარაში, 2007 წელს ამოქმედდა. აჭარის ბიურომ მუშაობა თავიდანვე ეფექტურად დაიწყო. კონკურსის წესით შეირჩა პროფესიონალი კადრები, ადვოკატები და ძლიერი ხელმძღვანელი, რომლებმაც პრიორიტეტად სოციალურად დაუცველი პირების იურიდიული დახმარების გაწევა დაისახეს და ერთიანი ძალით დღემდე ამ საქმიანობას წარმატებულად ეწევიან.

იურიდიული დახმარების სამსახური ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უნდა უწევს იურიდიული მომსახურებას ბრალდებულსა და მსჯავრდებულს, როცა საქმე ეხება სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, უცხოელებს, ან არასრულწლოვნებს, ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონე პირებს, ან თუ კი ადვოკატი არ ცხადდება და საქმის პროცესი ჭიანურდება და საქმის წარმოებისთვის სავალდებულოა ადვოკატის მონაწილეობა.

***გაგრძელება მე-4 გვ.***

## თქვენი ადვოკატი

**1. მე და ჩემი მეუღლე აღარ ვცხოვობთ ერთად. მინდა განქორწინება. როგორ მოვიქცე?**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით განქორწინება შეიძლება მოხდეს ორი გზით;

- თუ მეუღლეებს არა აქვთ დავა უნდა, მიმართონ სამოქალაქო რეესტრს. ამ შემთხვევაში საჭიროა მეუღლეთა ერთობლივი განცხადება.
- სასამართლოს უნდა მიმართონ იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეებიდან ერთ-ერთი არ არის თანახმა განქორწინებაზე, ან აქვთ რაიმე სახის დავა.

**2. მე და ჩემი მეუღლე არა ვართ განქორწინებულები, მაგრამ ვცხოვრობთ ცალ-ცალკე. შემიძლია თუ არა მოვითხოვო ალიმენტი ჩემთან მცხოვრები არასრულწლოვანი შვილებისათვის?**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მშობლები ვალდებული არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, ამასთან, ალიმენტის მოთხოვნის უფლება წარმოეშობა იმ მშობელს, რომელთანაც ცხოვრობს არასრულწლოვანი შვილი, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა მშობლები განქორწინებული.

**3. ჩემს დაბადების მოწმობაში დაფიქსირებული სახელი არ ემთხვევა პირადობის მოწმობაში დაფიქსირებულ სახელს. როგორ მოვიქცე?**

სამოქალაქო რეესტრის მიერ ხდება ასეთი შეცდომების გასწორება. შეცდომის გასასწორებლად საჭიროა, რომ მოქალაქემ წარადგინოს სამოქალაქო რეესტრში განცხადება, სადაც უთითებს შეცდომის შინაარსს და ხასიათს, აგრეთვე იმ დოკუმენტების ასლები, რომელშიც არის შეცდომა.

**4. მაქვს ანდერძი, რომელიც დაწერილია ჩემს სასარგებლოდ. მამკვიდრებლის გარდაცვალებს შემდეგ შევუდექი ქონების ფაქტობრივ ფლობას, მაგრამ ნოტარიუსმა უარი მითხრა სამკვიდრო მომწობის გაცემაზე იმ მოტივით, რომ ვერ ვადასტურებდი ფაქტობრივი ფლობის ფაქტს. როგორ მოვიქცე?**

უნდა მიმართოთ სასამართლოს განცხადებით და მოითხოვოთ ქონების ფაქტობრივი ფლობისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის შესახებ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა.

**5. მყავს ფსიქიკურად დაავადებული შვილი, ამის გამო დანიშნული აქვს პენსია, იგი გახდა 18 წლის და ამის გამო ველარ ვახერხებ ჩემი სახელით მისი პენსიის აღებას. როგორ მოვიქცე?**

უნდა მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ შვილის ქმედუუნაროდ აღირება. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ან ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა პირის შერაცხადობის თაობაზე ან შუამდგომლობა, რომ პირი თავს არიდებს ექსპერტიზის გავლას და დაენიშნოს სასამართლოს მიერ ასეთი ექსპერტიზა.

**6. ვარ კომლში ჩაწერილი როგორც კომლის წევრი თუმცა არ ვცხოვრობ კომლთან ერთად. მაქვს თუ არა რაიმე უფლება კომლის ქონებაზე**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კომლის ქონება წარმოადგენს კომლის ყველა წევრის თანასაკუთრებას. აქედან გამომდინარე კომლის ქონებაზე გაქვთ ისეთივე უფლება, როგორც კომლის სხვა წევრებს.

**7. მაქვს მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო მოწმობები, ითვლება თუ არა მიწა ამ მოწმობით ჩემს საკუთრებად და ჭირდება თუ არა მას სადმე რეგისტრაცია.**

საკუთრების დასაცავად საჭიროა მოხდეს ამ მოწმობების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად.

**8. მაქვს აღებული კრედიტი ბანკიდან, ვერ ვახერხებ გადახდას. შეუძლია თუ არა ბანკს მოხდინოს ჩემთვის სესხის გადავადება?**

ბანკის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული სესხის გადავადება. მოვალე კი ვალდებულია დაფაროს ვალი სრულად.

**9. მაქვს ხელწერილი, რომლითაც მოვალე მიღიარებს ვალს. შემიძლია თუ არა მივმართო სასამართლოს ვალის დასაბრუნებლად?**

შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს ან სარჩელით, ან განცხადებით, რომლითაც შეგიძლიათ მოითხოვოთ სასამართლოს მიერ გადახდის ბრძანების მიღება.

**10. მაქვს დოკუმენტები, რომლითაც ვადასტურებ, რომ ვარ ჩემს მფლობელობაში არსებული ფართის კანონიერი მოსარგებელე. ვის უნდა მივმართო პრივატიზაციისათვის?**

უნდა მიმართოთ ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოს განცხადებით, წარუდგინოთ დოკუმენტები და მოითხოვოთ ფართის პრივატიზება.

**მოქალაქეების კითხვებზე პასუხი მოამზადეს იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთი - ზესტაფონის ბიუროს იურისტებმა**

## თქვენი მეგზური

***იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართვის წესები:***

* სისხლის სამართლის საქმეზე საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის თხოვნით იურიდიული დახმარების სამსახურს შეგიძლიათ მიმართოთ პირადად, ახლო ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

*ვინ შეიძლება ისარგებლოს საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებით?*

* კანონით დადგენილი წესით იძულებით დაცვას დაქვემდებარებულმა ყველა დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა.

* იმ დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა, რომელიც ამავე დროს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ოჯახის წევრია და მისი სარეიტინგო ქულა შეადგენს: 1) 70 ათასს ან ნაკლებს; 2) 100 ათასს და ნაკლებს, და მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კატეგორიას:

ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი;

ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;

გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;

დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სრულწლოვანი პირი;

ე) მკვეთრად, მნიშვნელოვანად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;

ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;

ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

* განსაკუთრებულ შემთხვევებში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს უფლება აქვს თანხმობა განაცხადოს საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნაზე იმ პირისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ კრიტერიუმებს, მაგრამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია და ვერ გაწევს საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

*უფასო იურიდიული კონსულტაცია:*

იურიდიული დახმარების ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებში უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღება შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, როგორც სისხლის სამართლაზე, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავებისას. კონსულტანტები მოქალაქეებს მისვლის დღესვე მიიღებენ.

საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში შესაძლებელია იურიდიული დოკუმენტების მომზადება.

**იურიდიული დახმარების სამსახურის მისამართებია:**

**თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: სარაჯიშვილის გამზ. №1, მე-3 სართ**
**ტელ: 8(32) 623324;**

**კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: თელავი, ერეკლე II გამზ. №8**
**ტელ: 8 (250) 71538;**

**მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51**
**ტელ: 8(32) 513873;**

**ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,**
**ტელ: +995(24) 15-77-22**

**შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის.: გორი, სამეფოს ქ. №54**
**ტელ: 8 (270) 79556 8(95) 901704**

**იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს**
**მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11**
**ტელ: 8 (292) 40250;**

**იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: სადგურის მოედანი №3**
**ტელ: 8 (231) 5-34-11**

**სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24**
**ტელ: 8 (215) 53472;**

**სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37**
**ტელ: 8 (293) 43332;**

**აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის.: ბათუმი, წერეთლის შესახვევი №6**
**ტელ: 8 (88 222) 31799;**

**სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
**მის: ახალციხე, თაბუკაშვილის №17**
**ტელ: 891 115571**

**ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი**
**მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24**
**ტელ: 895 308847**

**ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი**
**მის.: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სარ.**
**ტელ: 8(296) 73824**

**იურიდიული დახმარების სამსახური**
**რუსთაველის №30, თბილისი 0146, საქართველო**
**ტელ: (+995 32) 988493; 932090**
**ფაქსი: (+995 32) 988493**
**info@legalaid.ge; www.legalaid.ge**

რეგიონი

# იურიდიული დახმარების სამსახური აჭარაში

***დასაწყისი მე-3 გვ.***

**„2009 წლამდე სისხლის სამართლის ყველა საქმეზე, სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო განაცხადი გაეკეთებინა და დახმარებისთვის მოემართა. მართალი გითხრათ, ძალიან ბევრი საქმე გვქონდა. 2009 წელს შეზღუდვა ამოქმედდა და ამჟამად ვეხმარებით პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ სახსრები დაიქირაონ კერძო იურისტი."** – აცხადებს იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს უფროსი, იამზე ზანდარაძე.

ოჯახების სოციალური მდგომარეობის შემოწმება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში ხორციელდება. თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც. თუკი განცხმადებელი არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და რეალურად მას აქვს საშუალება კერძო ადვოკატი დაიქირაოს, იურიდიული დახმარების შესახებ კანონი აძლევს სამსახურს უფლებას დაუშვას დამონაკლისი და სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატი დანიშნოს.

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები მოქალაქეს საადვოკატო მომსახურებას დაცვის ქვეშ მყოფს მთლიანი სისხლის სამართალწარმოების მანძილზე უწევენ. რაც შეეხება სამოქალაქო, ადამინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებს – ასეთ შემთხვევებში ბიურო კონსულტაციით და სარჩელის თუ სხვა საჭირო დოკუმენტების მომზადებით შემოიფარგლება.

საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს თუ მოქალაქეობის არმქონე პირს შეუძლია მიმართოს იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს. პროცედურა მარტივია, დახმარების მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს ბიუროს. განცხადების მიღებისთანავე იურიდიული სამსახურის თანამშრომლები შესაბამის რეაგირებას მოახდენენ.

იამზე ზანდარაძის ინფორმაციით, მიმდინარე წელს ბიუროს ადვოკატებმა მონაწილეობა 600-მდე სისხლის სამართლის საქმეში მიიღეს, ხოლო უფასო იურიდიული კონსულტაციით 200-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა. კონსულტაციების ფარგლებში სხვადასხვა სახის 60 დოკუმენტი მომზადდა.

დღეს, იურიდიული დახმარების სამსახური აჭარის ბიუროში სულ 7 იურისტია დასაქმებული, მათ შორის ექვსი ადვოკატია, ერთი კი – კონსულტანტი. ბიურო ჩართულია იურიდიული კლინის პროექტში, რომლის ფარგლებშიც ბათუმის შ. რუსთაველის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები 6 თვიან სამუშაო სტაჟირებას გადიან.

### იურიდიული კლინიკის პროექტი

უკვე მეორე წლია ბათუმი იურიდიული კლინიკის სტაჟიორთა იმიტირებული სასამართლო პროცესების ფინალურ ტურს მასპინძლობს. წელს ღონისძიება ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა და მას ის საზოგადოებრივი ადვოკატებიც დაესწრნენ, რომლებიც სტუდენტებს სტაჟირების პერიოდში ხელმძღვანელობდნენ.

იმიტირებულ პროცესზე სამ ჯგუფად დაყოფილი სტაჟიორები დაცვისა და ბრალდების მხარეებს, ასევე მოსამართლეებს წარმოადგენდნენ. მათ განიხილეს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ყაჩაღობის ფაქტს ეხებოდა. პროცესის დასასრულს საუკეთესო შედეგის მქონე სტაჟიორები გამოვლინდნენ. მათ სერტიფიკატებსა და სამახსოვრო პრიზები გადაეცათ.

იმიტირებულ სასამართლო პროცესზე სტაჟიორებმა მოახდინეს იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირება, რომლებიც იურიდიული კლინიკის პროგრამის ფარგლებში შეიძინეს. პროგრამის მიხედვით, სტაჟიორები, საზოგადოებრივი ადვოკატების ხელმძღვანელობით, რეალურ კლიენტებს ხვდებოდნენ და კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებს ამზადებდნენ. გარდა ამისა, მათ სასამართლოს, პროკურატურის, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებებისა და სხვა ორგანოების მონახულების საშუალებაც ეძლეოდათ. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ერთ-ერთი წარმატებული სტაჟიორი აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროში ადვოკატის თანამდებობაზე დასაქმდა.

### გასვლითი კონსულტაციები აჭარის რეგიონებში

აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო აქტიურადაა ჩართული საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების პროცესში. წელს რამდენიმე გასვლითი კონსულტაცია ჩატარდა ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ბათუმის მოსახლეობისათვის. ღონისძიებების ფარგლებში მოსახლეობა უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობებს გაეცნო. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში საზოგადოებრივი ადვოკატები ადგილზე გასწევდნენ კონსულტაციას.

ბიუროს თანამშრომლებს უყურადღებოდ არც არასრულწლოვნების მართლშეგნება რჩებათ. იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს იურისტებმა წელს ხელვაჩაურის რაიონში ურეხის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები მოინახულეს და არასრულწლოვანთა სამართლებრივი პასუხისმგელობის თემაზე ლექცია წაიკითხეს.



აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა – იამზე ზანდარაძემ, მამუკა ზოიძემ და მაია ბოლქვაძემ მოზარდებს არასრულწლოვანთა დაცვის მექანიზმები, ასევე სხვადასხვა დანაშაულთან, მათ შორის, ქორდობასთან, იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგელობა გააცნეს. საზოგადოებრივმა ადვოკატებმა ისაუბრეს არასრუწლოვანთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებზე და ყურადღება იმ კონვენციებზე გაამახვილეს, რომლებიც ამ საკითხებს არეგულირებენ.

### არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა

იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს ადვოკატის ბაკურ ბოლქვაძის ძალისხმევით, ქურდობის მცდელობაში ეჭვმიტანილი არასრულწლოვანი ბექა თ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგელობისაგან გათავისუფლდა.

ბექა თ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის მცდელობის ფაქტზე დაიწყო. როგორც საზოგადოებრივმა ადვოკატმა საქმის მასალების შესწავლის შემდეგ გაარკვია, ბექა თ.-მ და იმედი ზ.-მ, ქობულეთში ყოფნისას, ზღვის სანაპიროზე გაჩერებული კატამარანით გასეირნება გადაწყვიტეს. ამ მიზნით მათ ნავი ზღვაში შეიყვანეს, რა დროსაც მათთან მივიდა დარაჯი და კატამარანის წყლიდან ამოყვანა მოითხოვა. სიმძიმის გამო ეჭვმიტანილებმა ნავის ზღვაში სრულად შეყვანა ვერ შეძლეს და დარაჯის მოთხოვნისთანავე კატამარანი ნაპირზე ამოიყვანეს.

ბაკურ ბოლქვაძემ, საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების შესაბამისად, დაასაბუთა, რომ ეჭვმიტანილებს მხოლოდ კატამარანით გასეირნება სურდათ და არ ჰქონდათ ქურდობის განზრახვა. საბოლოოდ, პროკურატურამ საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია გაიზიარა და ბექა თ.-ს მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყვიტა.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციებს უწევს 11 ბიუროსა და 2 საკონსულტაციო ცენტრის მეშვეობით – თბილისში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში (ქუთაისი, ზესტაფონი), სამეგრელოში (ზუგდიდი, ფოთი), რაჭა-ლეჩხუმში, გურიასა და აჭარაში.

Published with financial support of the United Nations Development Programme (UNDP)
The views expressed in this publication are those of the authors and do not necessarily represent those of the United Nations or UNDP.
გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

იურიდიული დახმარების სამსახური

გამოცემა მომზადებულია მედიის განვითარების ფონდის მიერ